განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს)
საგანმანათლებლო პროგრამა
შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
15.12-22.12

დასკვნის წარდგენის თარიღი
22.02

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211360203
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი (ე-პდს)
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული მედიკოსი Medical Doctor
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	091 ჯანდაცვა Health 0912 მედიცინა Medicine
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავ-ლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	**376**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N154; 04.07.2019.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე (სსიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე (უნივერსიტეტი „ნიუ ვიჟენი“, საქართველო)

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 დეკემბრის ბრძ. N 1332438 საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს) საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია 7 წლის ვადით 2019 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების N154; 04.07.2019. საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა 1 წელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენის მიზნით. დაწესებულებამ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარადგინა დადგენილ ვადაში 2020 წლის 2-6 ივნისს.
2020 წლის 06 ოქტომბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ
აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის 211 პუნქტის, 31 მუხლის საფუძველზე, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, მონიტორინგის დანიშვნა ანგარიშის განხილვიდან ექვსი თვის ვადაში.
ინფორმაცია პროგრამის შესახებ: პროგრამის სტრუქტურა - პროგრამის ხანგრძლივობა - 6 წელი; პროგრამის მოცულობა - 376 ECTS-ის კრედიტი. სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან – შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (20 კვირა). ერთი სასწავლო წლის მოცულობა შეადგენს პირველ კურსზე- 58 კრედიტს, მეორე კურსზე - 62 კრედიტს, მესამე კურსზე - 60 კრედიტს, მეოთხე კურსზე - 67 კრედიტს, მეხუთე კურსზე - 67 კრედიტს, მეექვსე კურსზე - 61 კრედიტს. 1 კრედიტი = 30 სთ (მოიცავს საკონტაქტო 16სთ. და დამოუკიდებელ 14 სთ).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 დეკემბრის ბრძ. N 1332438 საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); ხათუნა საგანელიძე (წევრი) განახორციელა ონლაინ ვიზიტი შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგი.

პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურად დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი *საგანმანათლებლო პროგრამის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შედეგების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა.*

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა აკრედიტაციის პირველ, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებაში:

- **სტანდარტი 1** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგ-რამის შესაბამისობა - შეფასდა **როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

  1.1 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  1.2. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა როგორც **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

  2.1. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  2.2. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  2.3. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  2.4. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  2.5. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  2.6. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- **სტანდარტი 4** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

  4.1 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- **სტანდარტი 5** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

  5.2 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

<u>2.2.</u> კომპონენტი

  - რეკომენდირებულია პროგრამის მოცულობა დადგინდეს კანონმდებლობის გათვალისწინებით 360 კრედიტის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა 16 ნაცვლად იყოს 15 კრედიტი (რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - 2.2. სასურველია დაკორექტირდეს პროგრამაში ჩანაწერი „20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობის შესახებ“, ვინაიდან მითითებული ECTS კრედიტები რეალურად შეესაბამება სასწავლო წლებს.
    დაწესებულების მიერ ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევა გათვალისწინებულია და ECTS კრედიტების განაწილება განსაზღვრულია სასწავლო წლების მიხედვით (რჩევა გაზიარებულია დაწესებულების მიერ).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სწავლის შედეგების შეფასებისთვის (მათ შორის ცალკეულ სწავლის შედეგის) საერთაშორისო პროგრამებში და პროექტებში ჩართულობა

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

2.2. კომპონენტი

რეკომენდირებულია პროგრამის მოცულობა დადგინდეს კანონმდებლობის გათვალისწინებით 360 კრედიტის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა 16 ნაცვლად იყოს 15 კრედიტი.

არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გაზიარებულია. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას თან ახლავს განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი სათანადო დანართები (საგანმანათლებლო პროგრამა, დამტკიცებული ცვლილებების შედეგად, შესაბამისი სილაბუსები).

კერძოდ, VI სემესტრში მოდულიდან „სიცოცხლის შენარჩუნება“ ამოღებული იქნა ერთი ინტეგრირებული წრფივი ქეისი, შედეგად მოდულის მოცულობა შემცირდა 1 კრედიტით, აღნიშნული ქეისი დაემატა V სემესტრში საშარდე სისტემის პათოლოგიის მოდულს არსებული კრედიტის და საკონტაქტო საათების ფარგლებში. განხორციელებული ცვლილების შედეგად პროგრამის მოცულობა 376 კრედიტის ნაცვლად გახდა 375 კრედიტი, შესაბამისად, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის (6 წლის) ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა დაშვებული 15 კრედიტის ფარგლებშია.

რჩევა

2.2. სასურველია დაკორექტირდეს პროგრამაში ჩანაწერი „20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობის შესახებ“, ვინაიდან მითითებული ECTS კრედიტები რეალურად შეესაბამება სასწავლო წლებს.

დაწესებულების მიერ ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევა გათვალისწინებულია და ECTS კრედიტების განაწილება განსაზღვრულია სასწავლო წლების მიხედვით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის მიზანია - მოამზადოს საერთაშორისო დონის სამედიცინო კადრი; სამედიცინო პრაქტიკისთვის მოთხოვნილი აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნითა და გაცნობიერებით, უნარებითა და ღირებულებებით. პროგრამის ამოცანებია – სასწავლო კურსების შინაარსის/მოცულობის, ასევე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს: ▪ საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში თანამედროვე ცოდნის მიღწევას; ▪ სწავლების შესაბამისი საფეხურისთვის (სამედიცინო სწავლების I საფეხური) აუცილებელი კლინიკური უნარების დაუფლებას; ▪ პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების აღზრდას; ▪ მომავალი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში უწყვეტი სწავლისა და განვითარებისთვის მზადყოფნას. პოგრამის მიზანი არის ნათლად ჩამოყალიბებული და ასახავს ინფორმაციას კუსდამთავრებულთა აუცილებელი კომპეტენციების ფლობის შესახებ და ხაზს უსვამს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისადმი წაყენებული მოთხოვნების სწავლის შედეგების მიღწევის დათქმას, მუდმივ განვითარებას და ასევე სფეროსთვის აუცილებელი ეთკური ღირებულებების ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ დაწესებულების მისია.
რეკომენდაციები: ○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღწერს თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს სასწავლებლის კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. წარმოდგენილი შედეგები სრულს შესაბამისობაში დარგობრივი მახასიათებელში მოცემულ კომპეტენციებთან.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. უნივერსიტეტი აღნიშნულ მონიტორინგს მუდმივად ანხორციელებს და ანგარიებში წარმოდგენილ შედეგებს იყენებს სწავლა-სწავლების ხარისხის მაღალ დონეზე შენარჩუნებისთვის და გაუმჯობესებითვის.
პროგრამის შედეგის მიღწევის მონიტორინგისთვის, უნივერსიტეტმა განახორციელა მე–3, მე–5 და მე–6 კურსის სტუდენტების EBMA–ს საერთაშორისო პროგრეს ტესტირება (შემდგომში IPT) და მიღებული შედეგები წარმოადგენილია ანგარიშის სახით.
უნივერსიტეტის განცხადებით, დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ეტაპზე ცოდნის და უნარების შეფასების ამჟამად არსებული და გამოყენებული ინსტრუმენტებით კლინიკური განსჯისა და კლინიკური პრაქტრიკაში არაერთგვაროვნების/გაურკვევლობის მართვის უნარების შეფასების საკითხი კვლავაც გამოწვევად რჩება. სწორედ კლინიკური განსჯის უნარის სწავლებასა და შეფასების მიზნით, უსდ (დტსუ–ს მე–5 და მე–6 კურსის 92 სტუდენტი) ჩაერთო Practicum Foundation- ის და EBMA–ს მულტიცენტრული პილოტირების კვლევაში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დტსუ–ს სტუდენტების მიერ ფორმულირებული ჰიპოთეზების შესაბამისობა ექსპერტების პასუხებთან შეადგენდა 68.1%, რაც შეეხება ქეისის გადაწყვეტილებათა მიღების კომპონენტს დტსუ–ს სტუდენტთა თანხვედრა ექსპერტთა პასუხებთან შეადგენდა 90.5 %–ს.
დტსუ-ს დაინტერესებულ პირთათვის (აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის) შემუშავებული აქვს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსდამთვრებულთათვის მოთხოვნილი დარგობრივ-სპეციფიური კომპეტენციების და ასევე ზოგადი კომპეტენციების შესაფასებელი კითხვარები.
შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- EBMA–ს ონლაინ ადაპტური საერთაშორისო პროგრეს ტესტირების 2020 წლის შედეგების ანგარიში
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ Practicum Script კლინიკური განსჯის სიმულატორის შინაგანი მედიცინის სწავლების პროცესში გამოყენების პილოტირების ანგარიში
- კითხვარები

რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სწავლის შედეგების შეფასებისთვის (მათ შორის ცალკეულ სწავლის შედეგის) საერთაშორისო პროგრამებში და პროექტებში ჩართულობა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ –
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2019 წლამდე დაწესებულება აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას „დიპლომირებული მედიკოსი ე-ჰდს“ ახორციელებდა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისათვის, პროგრამაზე სწავლების დაშვების წინაპირობაში უცხო ქვეყნიის მოქალაქეთათვის ქართული ენის ფლობის შესაბამისი დონის განსაზღვრის გარეშე (უცხოელი სტუდენტებისათვის არ იყო მოთხოვნილი ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გამოცდის ჩაბარება). შესაბამისად, დაწესებულების მიერ გაზიარებული გახლდათ პოზიცია: ერთი

პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებდა ორი "სექტორი" (ქართული და ინგლისური), არგუმენტით "აღნიშნულ პროგრამაში უცხოელთა ჩარიცხვისთვის არსებობს ნებართვა, ამ თვალსაზრისით კანონი არ არის დარღვეული". პროგრამაზე სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საანგარიშო პერიოდში დაზუსტდა განხორციელების ენის კვალდაკვალ, პროგრამაზე დაშვება ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად. *ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებულ იქნა განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის სტუდენტთა რეესტრი, სადაც დასტურდება 2019 წლიდან დღემდე პროგრამაზე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ საგანმანათლებლბო პროგრამის შესაბამისობის ანგარიში;
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიპლომირებული მედიკოსის (ე-პდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებულია, აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი, 12 სემესტრი, საერთო მუცულობა 376 კრედიტი (ECTS) <u>რეკომენდაციის გაზიარების შედეგად 375კრედიტი.</u> შესაბამისად, შეუსაბამობა გასათვალისწინებელია შესაბამისობა **საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ** და **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით**

გაანგარიშების წესთან“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება).

ვინაიდან განათლების კანონის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია 360 კრედიტით ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში არსებული ჩანაწერის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს,

რეკომენდირებულია პროგრამის მოცულობა დადგინდეს კანონმდებლობის გათვალისწინებით 360 კრედიტის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა 16 ნაცვლად იყოს 15 კრედიტი.

არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გაზიარებულია. კერძოდ, VI სემესტრში მოდულიდან „სიცოცხლის შენარჩუნება“ ამოღებული იქნა ერთი ინტეგრირებული წრფივი ქეისი, შედეგად მოდულის მოცულობა შემცირდა 1 კრედიტით, აღნიშნული ქეისი დაემატა V სემესტრში საშარდე სისტემის პათოლოგიის მოდულს არსებული კრედიტის და საკონტაქტო საათების ფარგლებში. განხორციელებული ცვლილების შედეგად პროგრამის მოცულობა 376 კრედიტის ნაცვლად გახდა 375 კრედიტი, შესაბამისად, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის (6 წლის) ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა დაშვებული 15 კრედიტის ფარგლებშია.

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას თან ახლავს განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი სათანადო დანართები (საგანმანათლებლო პროგრამა, დამტკიცებული ცვლილებების შედეგად, შესაბამისი სილაბუსები).

კურიკულუმი მოიცავს სასწავლო კურსებსა და ინტეგრირებულ მოდულებს (‘ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია). ცალკე კომპონენტები აქვს დათმობილი კლინიკური და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამის აღწერილობით ნაწილში (გვერდი 8) არსებული ჩანაწერის შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული კომპონენტების შესაბამისი კრედიტების განაწილება განსაზღვრული იყო სასწავლო წლების ნაცვლად სემესტრებისათვის, აღნიშნული ჩანაწერი ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევის შესაბამისად დაკორექტირდა და მითითებული ECTS კრედიტები გასწორებულია სასწავლო წლების მიხედვით, ხოლო ჩანაწერმა მიიღო შემდეგი სახე:
- პირველ კურსზე შეადგენს ჯამში (წლიურად) 58 კრედიტს, მეორე კურსზე ჯამში (წლიურად) 62 კრედიტს, მესამე კურსზე ჯამში (წლიურად) 60 კრედიტს, მეოთხე კურსზე ჯამში (წლიურად) 67 კრედიტს, მეხუთე კურსზე ჯამში (წლიურად) 67 კრედიტს, მეექვსე კურსზე ჯამში (წლიურად) 61 კრედიტს).

პროგრამა ეფუძვნება სპირალური კურიკულუმის 9 მოდულის ირგვლივ ციკლურობას. ციკლი აკეთებს 3 სპირალს. I სპირალია საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების ეტაპი; მე-II სპირალი ეფუძვნება პირველს და კლინიკური მედიცინის სწავლების ეტაპზეა ორგანიზებული 9 მოდულის ირგვლივ. სპირალი III კლინიკური ქლერქშიპია, ეფუძვნება სტუდენტის წინა გამოცდილებას (I, II სპირალი) მისი (ცოდნა, უნარები) კონსოლიდაციისა და მომავალ კლინიკური პრაქტიკისთვის (სარეზიდენტო პროგრამა) მზადების მიზნით.

- საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერების ფაზაში (I – VI სემესტრები, 182 ECTS) ხდება ფოკუსირება ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებასთან დაკავშირებულ

უმნიშვნელოვანეს (საბაზისო) საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის სტრუქტურა, ფუნქცია, სიცოცხლის ციკლი და მისი ხელშეწყობა, სიცოცხლის შენარჩუნება და დაცვა.

სადაც ადამიანის ორგანოთა სისტემებზე დაფუძვნებულ მოდულებში მიეწოდება სისტემის ნორმისა და პათოლოგიური პროცესების მექანიზმების ახსნა პათლოგიური პროცესების კლინიკური (მნიშვნელობის) შეფასება; დაავადებათა ტიპიური კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკის, პაციენტის მართვის გეგმის შემუშავების, მასთან კომუნიკაციის, ა. შ. პრინციპები.

სწავლება მიმდინარეობს ძირითად მოდულარული მიდგომით და PBL-ის გამოყენებით და მოიცავს შემდეგ 6 მოდულს: სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის დაცვა, სიცოცხლის ხელშეწყობა, სიცოცხლის შენარჩუნება, სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის კონტროლი.

- კლინიკური მედიცინის კურსს ეთმობა შემდეგი ოთხი (VII – X) სემესტრი, სასწავლო მოცულობა შეადგენს 134 კრედიტს, წარმოადგენს ე.წ. გარდამავალ ეტაპს პირველ ეტაპზე უფრო მართულ (directed) სწავლასა და მე-3 ეტაპის უფრო მეტად თვითმართულ (self-directed) სწავლას შორის. ამ ეტაპზე, სწავლების საბაზისო ეტაპზე ძირითადად სიმულირებულ (ვირტუალურ) გარემოში ათვისებული ცოდნის და უნარ-ჩვევების გაღრმავება ხდება რეალურ კლინიკურ გარემოში; მეტი ფოკუსირებით პაციენტთა სამედიცინო და სოციალურ, ჯანდაცვით პრობლემატიკაზე, მათთან კომუნიკაციის თავისებურებებზე; სტუდენტის სწავლება და ტრენინგი (ძირითადად კლინიკურ გარემოში) მიმდინარეობს შემდეგ სამედიცინო სპეციალიზაციათა ფარგლებში: შინაგანი სნეულებანი, ქირურგია, მეან-გინეკოლოგია, პედიატრია, ინფექციური სნეულებანი, ნერვული სნეულებანი, ფსიქიატრია, ჯანდაცვის ორგანიზაცია და ეპიდემიოლოგია, სამედიცინო რენტგენოლოგია და რადიოლოგია, დერმატოვენეროლოგია, პროფილაქტიკური მედიცინა ეკოლოგიით, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, კლინიკური უნარ-ჩვევები, სამედიცინო საქმიანობის სამართლებლივი ასპექტები და ელექტიური საგნები.

- ზოგადი სპეციალიზაციის კურსს ეთმობა ერთი სასწავლო წელი (VI კურსი), სასწავლო მოცულობა შეადგენს 61კრედიტს, კლინიკურ როტაციები ხორციელდება შემდეგ კლინიკურ დისციპლინებში: შინაგანი სნეულებანი: ა) შინაგან სნეულებათა სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია, ბ) რაციონალური ფარმაკოთერაპია, გ) ფიზიოთერაპია და რეაბილიტაცია, დ) საოჯახო მედიცინა ე) გერიატრია 2. ქირურგიული სნეულებანი ა) ბავშვთა ქირურგია, ბ) ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია გ) გადაუდებელი ქირურგია; 3. მეან-გინეკოლოგია 4. პედიატრია 5. ინფექციური სნეულებანი 6. ნერვული სნეულებანი 7. კლინიკური უნარ-ჩვევები.
სტუდენტის კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება ჯამში 26 კრედიტის სიმულირებულ და 60 კრედიტის რეალურ კლინიკურ გარემოში.
სტუდენტის მიერ სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხორციელდება სამეცნიერო კვლევის საფუძვლების 5 სასწავლო კურსის მეშვეობით, ჯამში 10 კრედიტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის მოცულობა დადგინდეს კანონმდებლობის გათვალისწინებით 360 კრედიტის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა 16 ნაცვლად იყოს 15 კრედიტი (რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ სასურველია დაკორექტირდეს პროგრამაში ჩანაწერი „20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობის შესახებ“, ვინაიდან მითითებული ECTS კრედიტები რეალურად შეესაბამება სასწავლო წლებს (რჩევა გაზიარებულია დაწესებულების მიერ).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/ მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას, სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების ასახვა ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგებში, პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის დასადგენად შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სასწავლო კურსებით/სხვა კომპონენტებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სურათი. პროგრამის შემადგენელი კურსების/მოდულების სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის დასახელება და სტატუსი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები, კურსის განმახორციელებელი, სასწავლო კურსის ფორმატი, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და მუდმივად განახლებადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კლინიკური უნარების გამომუშავების შესაძლებლობა, რასაც ემსახურება კლინიკური უნარ-ჩვევების ცალკეული სასწავლო კურსები (6 სასწავლო კურსი, ჯამში 8 კრედიტი) და ყველა კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში ჯამში 26 კრედიტი სიმულირებულ და 60 კრედიტი რეალურ კლინიკურ გარემოში.

სტუდენტის მიერ სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავებას ეთმობა ჯამში 10 კრედიტი გამოყოფილი სამეცნიერო კვლევის საფუძვლების 5 სასწავლო კურსისათვის, მათ შორის 6 კრედიტი ეთმობა თეორიულ ასპექტებს (სამეცნიერო კვლევის საფუძვლები I, II, III), ხოლო დანარჩენი 4 კრედიტი - ბიოსტატისტიკის და ეპიდემიოლოგიის კურსებს. ასევე გათვალისწინებულია დამატებით არჩევითი გზა სამეცნიერო უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებისთვის (პროექტების წერის კურსი (2 კრედიტი), შემუშვებული პროექტის ჩაბარება - 8 კრედიტი; თეზისის დაცვა - 10 კრედიტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია სწავლების საფეხურსა და კურსის შინაარსთან. პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული კურსის სწავლების მეთოდები და აქტივობები მრავალფეროვანია, თუმცა შეესაბამისობაშია განსხვავებული სასწავლო კურსების სპეციფიკასთან: ლექციები, პრაქტიკულები, კლინიკური უნარების ტრეინინგი, დიდ ჯგუფში დისკუსიები, მცირე ჯგუფებში დისკუსიები/ სამუშაო შეხვედრები, კლინიკურ პრაქტიკაზე დაკვირვება, ჯგუფური სწავლა, პრეზენტაციები, კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლა, პორტფოლიოზე დაფუძნებული სწავლა, E - სწავლა,თანასწორთა ტუტორობა (peer tutoring), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (პდს), ქეისზე დაფუძნებული სწავლა (CBL), როლური თამაში. როლურ თამაშებს, სტანდარტიზებულ პაციენტთან კომუნიკაციას, ემატება კლინიკური და კომუნიკაციური უნარების სრულყოფა ამბულატორიულ/ჰოსპიტალური პაციენტის საწოლთან მუშაობით/პაციენტზე ორიენტირებული სწავლა. კურიკულუმის სწავლების და სწავლის სტრატეგია ეფუძვნება სტუდენტზე ორიენტირებულ, ასევე ხელმძღვანელობით თვით-სწავლებასა (directed self-learning) და მასტიმულირებელ მიდგომებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები: ○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტებში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3, 5.01.2007 შესაბამისად. სტუდენტის შეფასების წესი მითითებულია პროგრამის თითოეული კომპონენტის (სასწავლო კურსის/მოდულის) სილაბუსში, სტუდენტის შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მრავალალტერნატიული კითხვები (MCQ), მინი-ქეისები, რომელიც დიაგნოსტიკის კურსის პრაქტიკულ კლასებში მიმდინარეობს, პრობლემის ანალიზის კითხვები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE), სადაც სტუდენტები ასრულებენ სტრუქტურირებული ამოცანების ჩამონათვალის მიხედვით დავალებებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ პროცედურებს, ინტერვიურების მეთოდებს ან მონაცემთა ინტერპრეტაციას; კლინიკური ქეისები, მაგ: Mini-CEXs (mini OSCE), სადაც ხდება დაკვირვება სტუდენტებზე, მათი სტანდარტიზებულ და/ან რეალურ პაციენტთან ურთიერთობაზე და სადაც ისინი ასევე პასუხობენ გამომცდელის მიერ დასმულ კითხვებზე; პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება (DOPS), სადაც ხდება სტუდენტებზე დაკვირვება თუ როგორ ასრულებენ ცალკეულ პროცედურებს კომპეტენტურობის დასამტკიცებლად; ქეისებზე დაფუძვნებული დისკუსიები (CBD), სადაც სტუდენტებს უსვამენ კითხვებს სტრუქტურირებული გზით, იმ ქეისებზე, რომელშიც ისინი აქტიურად არიან ჩართული. პორტფოლიო - მტკიცებულებათა ნაკრები, რომელიც აჩვენებს სტუდენტთა უნარს მიღებული გამოცდილების, მათ პირადი პერსონალური განვითარებისთვის და სწავლისთვის როგორ გასცენ და მიიღონ კონსტრუქციული კრიტიკა; ანგარიშები, ორალური პრეზენტაციები ან პოსტერები შესრულებული სპეციალურ სასწავლო მოდულებში (მაგ: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები), პროგრეს ტესტი, ჟურნალის სტატიაზე კრიტიკული შეფასების დაწერა; პაციენტის მონაცემთა ინტერპრეტაცია; წამლის ელექტრონული ფორმულარის (ელექტრონული რეცეპტი) გამოყენება შესაბამის დონეზე. *პროგრამაში სტუდენტთა მიღწევების შეფასების ნაწილში ფიგურირებდა დასწრების კომპონენტი და რიგ სილაბუსში დასაზუსტებელი იყო სტუდენტის აქტივობის დიაპაზონის (მაგ: 0 დან 25 მდე) კრიტერიუმები. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ცალკეული კომპონენტების სილაბუსებში (შინაგან დაავადებათა დიფერენციალური დიაგნოსტიკა და მკურნალობა, პედიატრია 2, ნერვული სნეულებანი 2 და სხვ.) შეტანილ იქნა ცვლილებები და დასწრების კომპონენტისთვის გათვალისწინებული ქულები გადანაწილებულ იქნა აქტივობის სხვა კომპონენტებზე, სილაბუსებში ასახულია სტუდენტის აქტივობის შეფასების გრადაცია, განმარტებულია შეფასების კრიტერიუმები, აღნიშნული დადასტურებული იქნა ინტერვიურირების პროცესშიც.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 (05/01/2007); ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება:

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი –
მტკიცებულებები/ინდიკატორები –
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებითა და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციით, სულ - აკადემიური პირი, მათ შორის: პროფესორი -25 , ასოცირებული პროფესორი -43 , ასისტენტ-პროფესორი - 6 და 7 ასისტენტი.
უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული და დანერგილი აკადემიური პერსონალის მოზიდვისა და არჩევის წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და დარგობრივ მახასიათებელთან. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლებლის დებულების, შიდა ნორმატიული აქტებისა და ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად, ღია და საჯარო კონკურსის ჩატარების გზით. კონკურსისას დაცულია გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა და პერსონალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულად განხორციელებას

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის განმახორციელებელი პირების რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ვებ-გვერდი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ დებულება
- პერსონალის მიღების წესი

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება:

- ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები; ○
რეკომენდაციები: ○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასება ძირითადად ხორციელდება განათლების ხარისიხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს და ითვალისწინებს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და რჩევებს.

უნივერსიტეტი ასევე ანხორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით როგორც ზოგადად პროგრამის, ისე ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგს, ითვალისწინებს მირებულ შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, სტუდენტთა შედეგების გარე შეფასების მიზნით და პროგრამის შედეგის მიღწევის მონიტორინგისთვის, უნივერსიტეტმა განახორციელა მე–3, მე–5 და მე–6 კურსის სტუდენტების EBMA–ს საერთაშორისო პროგრეს ტესტირება (შემდგომში IPT) და მიღებული შეეგები წარმოადგინა ანგარიშის სახით.

უნივერსიტეტი გარე შეფასების მიზნით ასევე ჩართულია ASIIN-AMSE საპილოტე გარე შეფასების პროცესში და შესაბამისად მედიცინის პროგრამამ გაიარა აღნიშნული აკრედიტაცია.

საანგარიშო პერიოდში ხარისხის სამსახურის მიერ პროგრამის შიდა და გარე შეფასების მიზნით ჩატარებული აქტივობების შესახებ და შეიმუშავა შედეგების ანალიზის დოკუმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოვიდ პანდემიის პირობებში საერთაშორისო პროექტების (Body Interact Impact study; Pilot application Practicum Script Clinical Reasoning Simulator to Medical Students) ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების შეფასება და ანალიზი, პანდემიის პირობებში პროგრამის გასაუმჯობესებლად გატარებული სამუშაოს შედეგები წარდგენილ იქნა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის EUA მიერ ორგანიზებულ ფოკუს ჯგუფის მუშაობაში, სადაც მონაწილეობდა 22 ქვეყნის 41 უნივერსიტეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები
- განათლების ხარისიხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები
- უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცის საბჭოს ოქმები
- EBMA–ს ონლაინ ადაპტური საერთაშორისო პროგრეს ტესტირების 2020 წლის შედეგების ანგარიში

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი –
მტკიცებულებები/ინდიკატორები –
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
„დიპლომირებული მედიკოსი, ე-პდს“, ერთსაფეხურიანი პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 23

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე ფხაკაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ხათუნა საგანელიძე